

ლევან მახაშვილი

ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დაფუძნება: პერიოდი, როდესაც ევროპის იდეა მნიშვნელოვანი იყო

„გაერთიანებული ევროპა არის არა თანამედროვე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ექსპერიმენტი, არამედ ათასწლეულების მანძილზე აღიარებული იდეალი, რომელიც თანაარსებობს ევროპის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, კერძოდ, მათთან, ვისაც მომავლის დანახვა შეუძლია. ჯერ კიდევ ჰომეროსი აღწერდა ზევს როგორც 'ევროპოს'-ს - ანუ 'მას, ვისაც ძალიან შორს დანახვა შეუძლია'“ (Rougmont, 1961)

შესავალი

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი (ემკ) თანამედროვე ისტორიაში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს. თუმცა, მისი მიღწევა იოლი არ ყოფილა - ემკ-ის სრული რეალიზებისთვის სამი ათეული წელი, ურიცხვი ხელშეკრულება, მოლაპარაკებებისა და რთული და აქტიური სამუშაოს უამრავი საათი გახდა საჭირო.

ემკ-ის დაფუძნების პირველი იდეა და პრაქტიკული ნაბიჯები ევროგაერთიანებაში 1960-იან წლებში გაჩნდა და დაიგეგმა. 1970 წლის 8 ოქტომბერს ვერნერის კომიტეტმა ოფიციალურად წარადგინა მისი მიღწევის სამეტაპიანი გეგმა. თუმცა, 1970-იან წლებში გეგმა რამდენიმე სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა, რის გამოც მისი განხორციელება შეჩერდა. სანაცვლოდ, 1990-იან წლებში დელორის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული განახლებული ვარიანტის იმპლემენტაცია წარმატებით განხორციელდა. აღნიშნული საკითხი ბევრი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა, მაგრამ აკადემიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი ის, თუ რატომ იყო ემკ-ის პროექტის განხორციელება შეუძლებელი 1970-იან წლებში და რატომ გახდა იგი შესაძლებელი 1990-იან წლებში. სხვა სიტყვებით, რატომ ჩავარდა ემკ 1970-იან წლებში და რატომ იყო იგი წარმატებული 1990-იანებში? წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცდება.

ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნულ კვლევაში ტერმინი „ევროპის იდეა“ გულისხმობს „ევროპის ცნობიერებას, რომელიც ისტორიის გარკვეულ პერიოდებში არსებობდა. მას ძლიერი იდეური მოტივები გააჩნია და ნათელია, რომ ევროპული იდეის სრული რეალიზება ვერ იქნება შესაძლებელი დიქტატორის მიერ ან რეპრესიულ ევროპაში“ (Swedberg, 1994, გვ. 381). ეკონომიკური და მონეტარული კავშირი ამ იდეის ინსტიტუციურ გამოვლინებას წარმოადგენს და მაგალითია იმისა, რასაც დურკჰაიმი (1974) „კოლექტიურ წარმომადგენლობას“ უწოდებდა. ემკ-ის დაფუძნებისა და ადრეულ პერიოდებში „ევროპის იდეის“ დისკურსებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირებისთვის, საჭიროა მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ რა ნიშნავდა „ევროპის იდეა“ და როგორ განვითარდა იგი საუკუნეების მანძილზე.

ბევრი მკვლევარის აზრით, ევროპული კავშირის იდეა მეორე მსოფლიო ომამდე ან თუნდაც მსოფლიო ომებს შორის პერიოდამდე ბევრად ადრე იღებს სათავეს. რუჟმონტის ზემოთ ნახსენები ამონარიდი ამ მოსაზრების ნათელი დადასტურებაა. თუ თანამედროვე ევროკავშირის გამოვლინების ანალიზისას მხედველობაში მივიღებთ იდეების, იდეალებისა და კულტურული სიმბოლოების გავლენას და არა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მამოძრავებელ ძალებს, მაშინ სვედბერგის (1994) არგუმენტი საკმაოდ ლოგიკური იქნება: „ევროპული გაერთიანების იდეას შუა საუკუნეებამდე,

ზოგჯერ კი ანტიკურ ეპოქამდეც მივყავართ“ (გვ. 378). მართლაც, სრულყოფილი ანალიზისთვის, ევროგაერთიანების დამფუძნებლებად არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ პოლიტიკოსები და ინტერესთა ჯგუფის ლიდერები, რომლებსაც ემკის პროექტი პოლიტიკურ ამოცანად წარმოუდგენიათ. არამედ, მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის მოაზროვნეებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია *ევროპული ცნობიერების* განვითარება და მისი ასახვა შესაბამის ინსტიტუტებში (Swedberg, 1994, გვ. 381).

ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: ფედერიკო შაბოს (1947), რომელიც ევროპის იდეას ანალიზებს ანტიკური ეპოქიდან პირველ მსოფლიო ომამდე და ხაზს უსვამს „წერილების ევროპული რესპუბლიკების“ და მონტესკიეს, მაკიაველის, ვოლტერისა და სხვა მოაზროვნეთა პერიოდებს; გოლვიცერს (1951), რომელიც თავის *Europabild und Europagedanke*-ში (*ევროპის სახე და ევროპის აზროვნება*) სწავლობს 18-19 საუკუნეების გერმანიას და ევროპის აღქმებს აფასებს როგორც „ერების ოჯახს, კულტურულ ერთობას და ბედ-იღბალის პოლიტიკურს გაერთიანებას“ და ევროპის კონტინენტის ორგანიზების წინადადებების შესახებ ევროპული ცნობიერების მაგალითს (გვ. 8); ჰეის (1957), რომელიც ევროპის ცნებას „ისტორიული სემანტიკის“ ფარგლებში იაზრებს; კურციოს (1958), რომელიც ევროპის იდეალიზებას ახდენს და დარწმუნებულია, რომ ევროპული იდეის უკეთესად გაგების მიზნით, უნდა შევისწავლოთ ის ნააზრევი, რომელთან ერთადაც მოხდა იდეის ფორმულირება (გვ. 5); ბრუგმანს (1970), რომელიც ევროპულ იდეას განმარტავს, როგორც „ევროპული ცნობიერების, მისი იმედებისა და იმედგაცრუებების, მისი წინსვლისა და დრამატული მარცხების დიად ეტაპებს“ (გვ. 11); დუროსელს (1965), რომელიც „ევროპას“ იკვლევს ისე, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურ აქტორებს წარმოედგინათ; ლიპგენს (1982, 1985-1986), რომელიც ყურადღებას ამახვილებს 1940-1950-იან წლებზე, როგორც გამანადგურებელი ექსტრემისტული ნაციონალიზმის შემდეგ ევროპის გაერთიანების მცდელობებისთვის მნიშვნელოვან პერიოდზე; და დუროსელის (1990) კიდევ ერთ ნაშრომს - „*ევროპა: მისი ხალხების ისტორია*“. აღნიშნულ წიგნის თაობაზე სვედბერგი (1994) ამტკიცებს, რომ „ავტორის მცდელობა, რომ ევროპული იდეის დისკურსი ევროპის ისტორიის კონსერვატიულ მიდგომასთან ერთიანობაში განეხილა, წარმატებული აღმოჩნდა“ (გვ. 3). საინტერესოა, რომ წიგნი გამოიცა ბანკირ ფრედერიკ დელუშის დაფინანსებით, მორალური და იდეოლოგიური მხარდაჭერა კი მან ჟან მონესა და ჟაკ დელორისგან დელუშის 1965 წლის და რუჟმონტის 1990 წლის წიგნების წინასიტყვაობებში მიიღო.

დამატებითი სიცხადისთვის, აღნიშნული ავტორების ნაშრომების საფუძველზე, მოკლედ მიმოვიხილოთ „ევროპის“ სხვადასხვა მნიშვნელობა ანტიკური ეპოქიდან დღემდე (ასევე, იხილეთ Dorpalen, 1948; Pagden, 2002; Thompson, 1994). ადრეულ პერიოდში ევროპა გაგებული იყო როგორც გეოგრაფიული კონცეფცია. მოგვიანებით მან მითოლოგიური კონოტაცია შეიძინა. შუა საუკუნეებიდან, განსაკუთრებით მე-17 საუკუნის ბოლოდან, ევროპამ საქრისტიანოდ ჩამოყალიბება დაიწყო. გაერთიანებული ევროპის ადრეული განსაზიერება შარლემანის (კარლოს დიდის) იმპერია იყო, რომელსაც ხშირად *Rex pater Europae*-საც უწოდებენ. ეს არის პერიოდი, როდესაც ევროპამ თავისი ერთიანობის პიკს მიაღწია. მე-17-18 საუკუნეებში კონტინენტზე რევოლუციები, ქაოტური რელიგიური და ტერიტორიული ომები გაბატონდა, რის გამოც ევროპის იდეისთვის თითქმის არავის ეცალა. რეფორმაციისა და კონტრ-რეფორმაციის მოძრაობებმა ჰენრი მეოთხის, აბე დე სენტ-პიერის, კანტის, რუსოს, მონტესკიეს, პენისა და სხვათა იდეების რეალიზებისთვის ნაკლები სივრცე დატოვა. განმანათლებლობის პერიოდის მწერლებს, მათ შორის, ვოლტერს, ნაკლები გავლენა ჰქონდათ ევროპაში, რომელიც ფრაგმენტაციისკენ მიექანებოდა. აღნიშნული პროცესი 1648 წლის მიუნსტერისა და ოსნაბრუკის ხელშეკრულებებით დაგვირგვინდა, რომლებითაც 30-წლიანი ომი დასრულდა, ვესტფა-

ლიურმა მშვიდობამ დაისადგურა და მთავარ ევროპულ ძალებს შორის ძალთა ბალანსის კლასიკური სისტემა დაფუძნდა. მიუხედავად ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებისა, რომ ამან „ჩამოაყალიბა სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლის შიგნითაც ინდივიდუალური ნევრები ერთმანეთთან მშვიდობიანად თანამშრომლობდნენ“ (Dorpalen, 1948, გვ. 714), ხელშეკრულებები მონაწილე მხარეების სუვერენიტეტს ეფუძნებოდა; შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების მექანიზმები მტკიცედ იყო ხელმომწერების და არა რომელიმე კონტინენტური ან რეგიონული აქტორის ხელში.

შარლემანის შემდეგ, „ევროპის“ ყველაზე შორსმომავალი იდეები ნაპოლეონს ეკუთვნოდა, რომელმაც თითქმის მთლიანი კონტინენტი დაიპყრო. მეტერნიხის აზრით, ნაპოლეონს შარლემანის მსგავსი იმპერიის შექმნა სურდა. ნაპოლეონის საფრთხის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც 1814-1815 წლების ვენის კონგრესზე შეიკრიბა, დადებითად იყო განწყობილი რაიმე ფორმის გაერთიანებული ევროპისადმი. მაგალითად, კასელრაი, რომელიც ევროპული თანამეგობრობის შექმნის საჭიროებაზე საუბრობდა (Swedberg, 1994, გვ. 382), ან მეტერნიხი და ტალეირანი, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით (მათ შორის, საფრანგეთთან, როგორც სრულყოფილებიან ნევრთან) და ევროპული იდეის გაძლიერებით იყო შესაძლებელი კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება და ევროპული წესრიგის ხელახალი ამუშავება (Dorpalen, 1948, გვ. 721). ერთ-ერთი ასეთი იდეა გააჟღერეს სენტ-სიმონმა და აუგუსტინ ტიერიმ თავიანთ ნაშრომში „ევროპული საზოგადოების რეორგანიზაცია ანუ ერთ პოლიტიკურ ორგანოში ევროპის ხალხთა გაერთიანების საჭიროება და საშუალებები მაშინ, როდესაც შენარჩუნებულია მათი ინდივიდუალური ეროვნებები“. დეკაპოლონიას (2002) აზრით, მათ „კარგად დაინახეს ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელობა და ის გავლენა, რაც მას ‘ძველი’ სამყაროს ერებზე“ ექნებოდა... [და] ხაზი გაუსვეს ნევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას ისეთ კონკრეტულ პროექტებში, როგორებიც არის რკინიგზები, ცენტრალური ევროპული ბანკები და თავისუფალი ვაჭრობის ზრდა“ (გვ. 180). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი თემისთვის, ვინაიდან მათ ფაქტობრივად იწინასწარმეტყველეს 1950 წლის შუმანის დეკლარაცია და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დაფუძნება.

ნაპოლეონის ერა ეფექტურად ჩაანაცვლა ახლად-დანანევრებულმა, ვენის კონგრესსა და აღდგენილ ძალთა ბალანსზე დაფუძნებულმა ევროპამ. ნაპოლეონის საფრთხის არარსებობის პირობებში, ევროპული სისტემა კიდევ ერთხელ, თანდათანობით დანანევრდა. ინდუსტრიალიზაციისა და მსოფლიოს ახალი მზარდი ძალებისგან მომავალი გარე ეკონომიკური საფრთხეების გავლენით, აღნიშნული პროცესი უმეტესად ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფორმით განხორციელდა. დეკაპოლონიას (2002) მტკიცებით, „ევროპის შერთებული შტატების პროექტი პასუხი იყო უფრო საერთაშორისო მოვლენებთან ევროპული სახელმწიფოების ადაპტირების შესახებ შეგნებულ სურვილზე, ვიდრე მათი გაერთიანების თანდაყოლილ მონდომებაზე. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდის თავისუფალი ეკონომიკის მომხრეები მხარს უჭერდნენ აღნიშნულ იდეას“ (გვ. 176). როგორი არალოგიურადაც არ უნდა ჟღერდეს, ევროპული ფრაგმენტაციის ასეთი მაღალი ხარისხის პირობებში შედარებით გაუმჯობესებული ევროპული ეკონომიკური ერთობა მაინც შენარჩუნდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოცენება დაიწყო ნაციონალიზმმა, რომელიც ევროპას საფრთხესაც უქმნიდა და შესაძლებლობებსაც აძლევდა. დეკაპოლონია (2002) განმარტავს, რომ „ანტაგონისტური იდენტიფიცირების პროცესმა ევროპულ ერებს ერთმანეთის მიმართ ურთიერთგანსაზღვრის შესაძლებლობა მისცა... სწორედ, აქ დაედო საფუძველი აგრესიულ ნაციონალიზმებს შორის მომავალ კონფლიქტებს, რომლებმაც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული შუაზე გახლიჩა ევროპა“ (გვ. 173-174). მსოფლიო ომებს შორის პერიოდი მეტად რთული იყო ევროპული იდეალებისთვის. ამ

პერიოდში საშიშმა ნაციონალიზმმა მყარად მოიკიდა ფეხი, განსაკუთრებით ჰიტლერის გერმანიაში. შედეგად, დორპალენის (1948) სიტყვებით, „ევროპული პოლიტიკა მთლიანად ჩამოიშალა“ (გვ. 732).

ნაციონალისტური განწყობის გამო, ევროფედერალისტების ამბიციების რეალიზება ვერც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხერხდა. მართლაც, ჰააგის კონგრესზე ევროპელი აქტივისტების მცდელობებმა იმპულსი და შესაძლებლობების ფანჯარა დაკარგა. თუმცა, სანაცვლოდ, ნაციონალიზმმა ამავდროულად წარმოშვა ევროპეანიზმი, უფრო ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისკენ ევროპული მოძრაობა. დეკაპოლონიას მტკიცებით, საფრთხეების გარდა, ეს იყო ასევე „უფრო მჭიდრო, უფრო მტკიცე კოსმოპოლიტურ პროექტებზე დაფუძნებული ერთიანი ევროპის დიადი სტრატეგიების დასაწყისი“ (გვ. 174). იმის გარდა, რომ „რომ „დაკარგული კულტურული ერთობის ნოსტალგიურმა მესხიერებამ“ თავისი როლი ითამაშა, ევროპეანიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა სხვა ფაქტორების გავლენით, მათ შორის, საბჭოთა კავშირიდან მომავალი საერთო საფრთხის გაცნობიერებით, „ფაშიზმის პერიოდის გამანადგურებელი ნაციონალიზმის წინააღმდეგ მილიონობით ევროპელის რეაქციით“ და „დასავლეთ ევროპული საერთო ბაზრის შექმნისკენ მომართული ეკონომიკური ძალებით“ (Seton-Watson, 1985, გვ. 42-43; D'appollonia, 2002, გვ. 177-178). სწორედ ამ აზროვნების ფონზე განსაზღვრა ევროპულმა ნაციონალიზმმა საკუთარი თავი, რომელიც მოიცავდა „ისტორიული მესხიერების ჩამოყალიბებას, საერთო იდენტობასა და კულტურას იმ ერთეულებისთვის, რომლებიც მოცემული ტერიტორიის საზღვრებში არიან მოქცეული; ასევე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და მონაწილეების გლობალური ინტერესების დაცვის მიზნით“ (D'appollonia, 2002, გვ. 178). სწორედ, ამ ერთეულისა და შრომისმოყვარეობის შედეგია ის, რომ 1950-იან წლებში ევროპულმა იდეამ სხვადასხვა გაერთიანებებში ჰპოვა ასახვა. 1960-იან წლებში დე გოლმა და ერთგულმა ნაციონალისტებმა ევროგაერთიანების სტრუქტურებისა და გადანყვებილების მიღების წინააღმდეგ გაილაშქრეს, რასაც ევროსკლეროზის პერიოდი და ინტეგრაციული პროცესების შეფერხება მოჰყვა. ამის მიუხედავად, ევროპულმა კავშირმა მაინც განაგრძო წინსვლა და მოახერხა თანამედროვე ერთიანი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოხატულებად - ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირად გარდაქმნა.

თუმცა, ჯერ კიდევ არ არის ნათელი, ემკ-ის დაფუძნების პროცესში ევროპის იდეამ განსაზღვრელი როლი ითამაშა თუ დამხმარე. ამაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება იმ ფაქტორების შესწავლით, რომლებმაც გავლენა იქონია 1970-იანი წლების მარცხსა და 1990-იანი წლების წარმატებაზე. შემდეგ ქვეთავებში სწორედ, აღნიშნული საკითხები იქნება განხილული.

ემკ-ს მარცხისა და წარმატებების მიზეზები

„ის კონცეფციები და იდეები, რომლის საფუძველზეც ევროპული პროექტი დაფუძნდა და რისი სახელითაც ჰპოვებენ ლეგიტიმაციას მისი პოლიტიკის მიმართულებები და პოლიტიკური ძალა, ამჟამად ცვლილების პროცესშია. ცვალებადი მეცნიერული პარადიგმების, პოლიტიკური ქარტეხილების, სოციალური განწყობებისა და მორალური ტემპერამენტის გათვალისწინებით ხდება მათი ხელახლა შექმნა, რეფორმულირება, გაუქმება და თავიდან აღმოჩენა“ (Burgess & Stråth, 2001, გვ. 125)

ემკ-ის არსებობის გამართლების ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი და ფართოდ გავრცელებული არგუმენტი არის ის, რომ მონეტარული პოლიტიკის სფეროში უფრო ღრმა ინტეგრაცია არის საგარეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებზე საერთო ევროპული პასუხი (Verdun, 2000).

კერძოდ, ემკ იყო ევროპული პასუხი გლობალურ საფრთხეებსა და საერთაშორისო არენაზე ამერიკულ „კაუზოსტურ“ ქმედებებზე. მნიშვნელოვანი იყო სხვა მოვლენებიც: ა) არაბ-ისრაელის ომებმა და შედეგად ნავთობის გაოთხმაგებულმა ფასებმა ნათელი გახადა, რომ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სფეროებში ევროპა უფრო მჭიდრო კოორდინაციას საჭიროებდა; ბ) 1967 წელს სტერლინგის გაუფასურების, 1968 წლის დოლარის, ოქროსა და ფრანგული ფრანკის კრიზისების და 1970-იანი წლების დასაწყისში ორი ფინანსური კრიზისის გამო, გერმანიამ ცალმხრივად და ერთპიროვნულად დაიწყო ფინანსური პოლიტიკის წარმოება, რამაც ფრანგულ, იტალიურ და სხვა ევროპულ ვალუტებზე მნიშვნელოვანი წნეხი წარმოქმნა. განსაკუთრებით საფრანგეთი იყო შეშფოთებული ბუნდესბანკის უნილატერალიზმით და სურდა, რომ სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და დანაკარგების შესამცირებლად გერმანია უფრო მჭიდრო მონეტარულ თანამშრომლობაში ჩართო (Dedman, 2010, გვ. 108); გ) ევროპულ ვალუტებზე გახშირებულმა სპეკულაციურმა შეტევებმა და მზარდმა რისკებმა გააძლიერა უფრო მჭიდრო მონეტარული თანამშრომლობის საჭიროება; დ) და ბოლოს, თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა აკრიტიკებდა კრიზისებისადმი აშშ-ის მიდგომას. მათი რწმენით, ემკ-ის დაფუძნება შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებზე თავად კონტროლის უფრო მეტ საშუალებას მისცემდათ და საერთაშორისო მოთამაშეებს პასუხისმგებლობისა და ერთიანობის მაღალი ხარისხის მაგალითს უჩვენებდა, მით უფრო მაშინ, როდესაც მსოფლიო ცივი ომის, სუეცისა და კუბის კრიზისების, ბრეტონ ვუდსის სისტემის დანგრევისა და ე.წ. ფინანსური „გველის“ ეპოქაში შევიდა (Szász, 1999, გვ. 15-45). ბურგესისა და სტრათის (2001) სიტყვებით, აღნიშნული საკითხი გაგებული უნდა ყოფილიყო

„ევროპის საგარეო იდენტობის ჩარჩოში, როგორც საშუალება, რომ საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში ევროგაერთიანებას ყურადღება გაემახვილებინა თავის 'ინდივიდუალურობაზე', 'ამ სისტემისადმი კუთვნილების დაკარგვისა და მასში აქტიური წვლილის შეტანის გარეშე'... გლობალური ფინანსების მზარდმა ჰომოგენურობამ მათ წარმოსახვაში შექმნა საჭიროება, რომ ხაზი გაესვათ ევროპული რეალობის განსაკუთრებულობისთვის და ჩამოეყალიბებინათ მზარდი პრობლემისადმი კონკრეტული ევროპული პასუხი და მისდამი პასუხისმგებლობა“ (გვ. 138-139).

გერმანია ინტეგრაციას მხარს უჭერდა რამდენიმე მიზეზის გამო. დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მტკიცე სურვილი და პოლიტიკა იყო. სხვა წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, მას ასევე უფრო ღიად უნდა მოეხდინა დემონსტრირება იმისა, რომ იგი ევროპისადმი ერთგული იყო. ბურგესისა და სტრათის (2001) განმარტებით,

„ფრანგულ-გერმანული [თანამშრომლობითი] ღერძი დასაწყისიდანვე ევროპული ინტეგრაციის მოტორს წარმოადგენდა. თუმცა, ეს არ იყო ორ თანასწორუფლებიანს შორის ღერძი. გერმანიის მთავრობას ყოველთვის უწევდა ევროპული სანდოობის დემონსტრირება მაშინ, როდესაც საფრანგეთის მთავრობას ევროპის წარმომადგენლის, მისი სახელით საუბრის პრეტენზია ჰქონდა. გერმანია ევროპელი უნდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც თავად საფრანგეთი იყო ევროპა და უხსნიდა გერმანიას, თუ რას ნიშნავდა ევროპელად ყოფნა“ (გვ. 159-160) (Rehman, 1997, გვ. 408-427; Szász, 1999, გვ. 98-109).

მოკლედ, სადუჰისა და ვერდუნის (2009) სიტყვებით, ემკ-ის დაფუძნება შეიძლება აიხსნას როგორც „კოლექტიური კონტინენტური მცდელობა“ იმისა, რომ შემცირებულიყო აშშ-ის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკით გამოწვეული დესტაბილიზაციის ეფექტი. მსგავსად, ემკ შეიძლება დავინახოთ როგორც მცდელობა იმისა, რომ ევროპამ დაიბრუნოს ჰეგემონიური ძალაუფლების ნაწილი, ან სულ მცირე, გაიზაროს სუვერენიტეტი და შედეგად, საერთაშორისო არენაზე გაიზარდოს ევროპის გავლენა (გვ. 293).

ზემოაღნიშნული საკითხი შეიძლება შედარდეს ინდუსტრიალიზაციის პერიოდთან, როდესაც საგარეო ეკონომიკურმა კონკურენციამ შექმნა ძლიერი სტიმული და მხარეებს ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებისკენ უბიძგა. იგი ასევე ნათლად ასახავს სენტ-სიმონის ნააზრევს. კერძოდ, დეკაპოლონია სწორედ აღნიშნავს, რომ „[სენტ-სიმონი] ერთ-ერთი პირველი იყო ნაპოლეონის იმპერიის კოლაფსის შემდეგ, ვინც გააცნობიერა, რომ მხოლოდ ერთობით (დიდი ეკონომიკური და კომერციული სივრცის ფორმით) შეძლებდნენ... სახელმწიფოები ევროპის გლობალური უპირატესობის დაკარგვის თავიდან არიდებას“ (გვ. 179-180).

ემკ-ის დაფუძნების კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ 1970-იან წლებთან შედარებით, 1990-იანებში „ევროპა“ და მისი არსი უფრო მეტს ნიშნავდა პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის. „ევროპის იდეა“ (ან შეიძლება ითქვას „მეტი ევროპის“ იდეები) უმრავლესობისთვის მისაღები იყო. ასეთი საზოგადოებრივი აზრის ფონზე, პოლიტიკოსებისთვის უფრო მარტივი და მომგებიანი იყო კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ევროპული პროექტის - ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დაწყება.

გერმანიაზე, როგორც ემკ-ის დაფუძნების მთავარ გადაწყვეტილების მიმღებზე დაფუძნებით, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ემკ-ის მხარდაჭერისას გერმანული პოლიტიკური ელიტა მოტივირებული იყო „ევროპის“, „კარგი ევროპელის“, „გერმანული ევროპულობის“ იდეით. მაგალითად, რისესა და ენგელმან-მარტინის (2002) რწმენით, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, შიდა და გარე აუდიტორიისთვის ემკ არ იყო საკმარისი. ამიტომ იგი არ უნდა იქნას გააზრებული მხოლოდ გეოპოლიტიკური გადმოსახედიდან. სანაცვლოდ, აღნიშნული მკვლევარების პოზიციით, ასეთი ვალდებულების აღებაზე „გერმანიის თანხმობა გამოწვეული იყო ისტორიული მასსოვრობის კონკრეტული კოლექტიური მშენებლობით, ევროპაში გერმანიის ადგილის თაობაზე განსხვავებული წარმოდგენით... და ევროპული წესრიგის შესახებ ხედვებით“ (გვ. 306-307). გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო თავისი პოლიტიკური ისტებლიშმენტისგან, რომლებიც ასევე იზიარებდნენ კოლის რწმენას, რომ „მხოლოდ გაღრმავებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს [რომელსაც სიმბოლურად გამოხატავდა ერთიანი ვალუტა] შეეძლო დასავლეთთან გერმანიის მტკიცედ დაკავშირება და მომავალი წლების მანძილზე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ევროპული ინსტიტუტების გაძლიერება“ (Risse & Engelmann-Martin, 2002, გვ. 308). გერმანიის ენთუზიზმში კიდევ უფრო ამაღლდა კონსენსუსით იმ საკითხზე, რომ ევროპულ მონეტარულ სისტემაში გერმანული მარკას ჰეგემონიური როლი შენარჩუნდებოდა და რომ ევროპული ცენტრალური ბანკი გერმანიის ბუნდესბანკის მოდელზე ჩამოყალიბდებოდა. ასევე, ევრობარომეტრის კვლევებმა (1999, გვ. 25; 1990, გვ. 5-33; 1979, გვ. 43-45) ცხადყო, რომ 1979-დან 1999 წლამდე პერიოდში ევროგაერთიანების/ევროკავშირის მოქალაქეებმა უფრო მეტად შეიცნეს „ევროპის იდეა“, ისევე, როგორც გაიზარდა მათი მხრიდან ევროპული ინსტიტუტებისადმი ნდობის მაჩვენებელი.

ემკ-ის წარმატება/წარუმატებლობის ამხსნელი დამატებითი მიზეზები შეიძლება ვეძიოთ ვერნერისა და დელორის გეგმებშიც. კერძოდ, ვერნერის გეგმა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. 1970-იან წლებში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელეების ფაშს, აღნიშნულის განხორციელება ევროგაერთიანებისა და ემკ-ის მხარდამჭერი ყველაზე აქტიური წევრი ქვეყნებისთვისაც კი მიუღებელი აღმოჩნდა. თავის მხრივ, დელორის გეგმა ვერნერის „ნახევარი ასლი“ იყო იმ გაგებით, რომ მასში არ იყო გათვალისწინებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკების სრული შერწყმა (Burgess & Stråth, 2001, გვ. 130). შედეგად, მისდამი დადებითად განეწყო წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა, ვინაიდან მათ თავიანთ ფისკალურ პოლიტიკაზე კონტროლის უფრო მეტი ბერკეტი შეინარჩუნეს.

ამასთან, ორივე გეგმა მონეტარული პოლიტიკის „ევროპეიზაციის“ გზით ევროკომისიისა და ევროპარლამენტის გაძლიერებას ითვალისწინებდა. თუმცა, 1970-იან წლებში აღნიშნული ინსტიტუტები (განსაკუთრებით, ევროპარლამენტი) არ იყვნენ მზად ასეთი სიახლისთვის და მსგავს გამოწვევასთან ეფექტურად გამკლავებისთვის (Burgess & Stråth, 2001, გვ. 136-137). 1990-იან წლებში მდგომარეობა სხვაგვარი იყო. რამდენიმე ინსტიტუციური რეფორმის წყალობით, ორივე მათგანს ეკონომიკური და მონეტარული საკითხების უფრო წარმატებულად კონტროლი და ზედამხედველობა შეეძლო.

გარდა ამისა, ვერნერთან შედარებით, დელორმა ემკ-ის მიღწევის უფრო რეალური გეგმა შეიმუშავა. ვერნერის გათვლებით, ემკ 1971-1980 წლებში სამ ეტაპად უნდა დაფუძნებულიყო. ამისთვის, უზრუნველყოფილი იქნებოდა ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების ვალუტების მუდმივი კონვერტირებადობა, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება და გაცვლითი კურსის შეუქცევადად დაფიქსირება, ასევე, ეროვნული ვალუტების ნაცვლად, შეიძლებოდა შექმნილიყო ახალი ვალუტაც. ემკ-ის შესახებ იდეები ვერნერის კომიტეტმა 1969 წელს ევროპელი ლიდერების გადაწყვეტილების შესაბამისად დაამუშავა. კომიტეტის რეკომენდაციით, ჩამოყალიბდებოდა „ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების ცენტრი“, რომელიც პირდაპირი წესით არჩეული ევროპარლამენტის წინაშე იქნებოდა პოლიტიკურად პასუხისმგებელი და რომელსაც „ცენტრალური ბანკებისთვის ევროგაერთიანების სისტემა“ ექნებოდა (Danescu, 2013, გვ. 2; Dedman, 2010; Rehman, 1997, გვ. 4-67; Szász, 1999, გვ. 110-119).

ვერნერის გეგმის პრაქტიკული განხორციელება მარცხისთვის იყო განწინებული. თუმცა, გეგმა წევრი სახელმწიფოების პოზიციებში მკვეთრი ცვლილების ნიშანი და შესაბამისად, ევროპული ინტეგრაციის პროცესის გარდამტეხი წერტილი აღმოჩნდა. ანსუასა და დესარტის (1975) განმარტებით, „ვერნერის“ ანგარიშის წარდგენის პერიოდამდე, წევრ ქვეყნებს ეკონომიკური კავშირის, ან სულ მცირე, საერთო ბაზრის, მიღწევა ჯერ კიდევ წარმოედგინათ თავიანთი პოლიტიკის მიმართულებების უბრალო კოორდინაციის გზით; ჰააგის კონფერენციისა და ვერნერის ანგარიშის შემდეგ, მათ აღიარეს, რომ ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა მონეტარული კავშირის თანდათანობითი დაფუძნების გარეშე“ (გვ. 1).

დანესკუ (2013) თვლის, რომ „მას შემდეგ, რაც [ვერნერის გეგმა], გაუარესებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო დროებით მივიწყებას მიეცა, ევროპაში მონეტარული ინტეგრაციის საკითხზე მსჯელობისას იგი მაინც იყო შთაგონების წყარო და სტიმული ბევრი იმ პოლიტიკური და აკადემიური ინიციატივებისთვის, რომლებმაც დღის შუქი მოგვიანებით იხილა, განსაკუთრებით, დელორის ანგარიშისთვის“ (გვ. 2). ემკ-ის პირველი გეგმის ავტორი ვერნერი (1990) თავად ამტკიცებს, რომ

„დოქტრინისა და მეთოდოლოგიის ნაწილში დელორის და ვერნერის ანგარიშებს შორის არ არსებობს ფუნდამენტური სხვაობა. სრულყოფილი კავშირისთვის საჭირო პრერეკვიზიტებზე საუბრისას, დელორის ანგარიში ხშირად იშველიებს ციტატებს ვერნერის დოკუმენტიდან, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის ვალუტების შეუქცევადი კონვერტირებადობა, ვალუტებს შორის მერყეობის მარჯების გაუქმება, გაცვლითი კურსის შეუქცევადად დაფიქსირება და კაპიტალის გადაადგილების სრული ლიბერალიზაცია“ (გვ. 175-178).

უფრო მეტიც, დელორი (1999) აღნიშნავს, რომ „ვერნერის ანგარიშმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია [დელორის] გეგმის ზოგად ფილოსოფიასა და სტრუქტურაზეც კი“. მეტი სიცხადისთვის, დელორმა (2004) მოგვიანებით განმარტა, რომ „[დელორის კომიტეტის ანგარიშში]... ჩვენ შევთანხმდით ვერნერის გეგმიდან აღებულ სამ ეტაპზე: პირველი ეტაპი, რომელიც კოორდინაციის გაუმ-

ჯობესებას ჰქონდა დათმობილი, დაიწყებოდა 1990 წლის 1 ივლისს; მეორე ეტაპი, გარდამავალი ეტაპი, ამზადებდა [ემკ-ის ინსტიტუტებისთვის საფუძველს]; და მესამე ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნულ ვალუტებს შორის, ასევე, მათსა და ერთიან ვალუტას შორის გაცვლითი კურსი შეუქცევადად დაფიქსირდებოდა“ (გვ. 338).

საერთო ჯამში, ვერნერისა და დელორის გეგმებს შორის განსხვავება შეიძლება გაგებულ იქნას როგორც კეინეზიანიზმი VS მონეტარიზმის დიქტომია. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, 1970-იან და 1990-იან წლებს შორის პერიოდში ღირებულებისა და კონცეპტუალურმა პარადიგმამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. უფრო კონკრეტულად, ევროპელმა ლიდერებმა ზურგი აქციეს კეინეზიანიზმს და დადებითად განეწყვენენ მონეტარიზმისადმი (Siles-Brügge, 2014, გვ. 61). ზურგისა და სტრათის (2001) არგუმენტით, „ევროპული მშენებლობის კონცეპტუალურმა საფუძველმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რაც დაკავშირებული იყო ფულის კონცეფციის ცვლილებასთან“ (გვ. 126-127) და რამაც ემკ-ის წარმატებული დაფუძნების საშუალება გააჩინა.

გარდა ამისა, ემკ-ის სრული რეალიზაციისთვის ერთიანი ბაზარი იყო საჭირო. 1970-იან წლებში ეს შეუძლებელი იყო სრულყოფილი საბაჟო კავშირის და ოთხივე თავისუფლების (კაპიტალის, საქონელის, ადამიანებისა და სერვისის გადაადგილების) არარსებობის, ასევე, ზედმეტად ბევრი ბარიერის გამო. ერთიანი ევროპული აქტისა და კომისიის თეთრი წიგნის წყალობით, 1990-იან წლებში ფუნქციონირებადი ერთიანი ბაზარი უკვე არსებობდა. ამასთან, ემკ-ის რეალიზაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სოციალური და შრომის ბაზრის პოლიტიკის მიმართულებების მჭიდრო საერთაშორისო კოორდინაცია (Posner, 2007). შედეგად, „ევროსკლეროზის“ წლებში ერთიანი ბაზრის არარსებობამ ევროპული პროექტი მიუღწეველი გახადა.

და ბოლოს, ემკ-ის 1970-იან წლების მარცხი და მისი 1990-იანი წლების წარმატება გაანალიზებულ უნდა იქნას ასევე ლიდერების ყოფნა-არყოფნის ფარგლებშიც. დე გოლი და მისი მსგავსი ნაციონალისტი ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ ევროპულ ინტეგრაციას, რაც 1970-იან წლებში ხელს უშლიდა ემკ-ის გეგმის განხორციელებას (Dinan, 2004; Burgess & Stråth, 2001; Kaiser, 2007). იმის მიუხედავად, რომ აშშ-სადმი დე გოლის რადიკალურმა კრიტიკამ 1960-იან წლებში ემკ-ის იდეის გაჩენასაც კი შეუწყო ხელი, ზურგისი და სტრათის (2001) მიიჩნევენ, რომ ის ძირითადი საკითხები, რასაც დე გოლი იცავდა, პოლიტიკურად რეალიზებული მხოლოდ მისი გადადგომის შემდეგ შეიძლებოდა ყოფილიყო (გვ. 140). მართალია, დე გოლმა თავის იდეოლოგიურ მემკვიდრედ მარგარეტ ტეტჩერი დატოვა, მაგრამ მისგან განსხვავებით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს „ევროპის სახელით საუბრის ბევრად ნაკლები უფლებამოსილება ჰქონდა“, განსაკუთრებით 1979-1984 წლების ბრიტანეთის საბიუჯეტო ბატალიების დროს გამოჩენილი მწვავე ობსტრუქციონიზმის შემდეგ. ტეტჩერის ეს „სისუსტე“ შესაძლებლობების ფანჯარა იყო ევროკომისიის ახალი პრეზიდენტ ჟაკ დელორისთვის. სოციალისტი ლიდერების უმრავლესობის მხარდაჭერით, მან გამოიყენა ეს შანსი და „ევროპულ პროექტს ახალი პოლიტიკური ენერჯია შთაბერა“ და „კომისიას ბრეტონ ვუდსის წესრიგის კოლაფსის, მასიური უმუშევრობის აღმოცენების, სოლიდარობის ძველი მოდელების რღვევის, მათთან გასამკლავებლად კვაზი-ჰეგემონური ნეოლიბერალური სისტემების აღმოცენების და სხვა სირთულეებით სავსე ისტორიული გზაჯვარედინისკენ გაუძღვა“ (Burgess & Stråth, 2001, გვ. 140-146).

ზემოაღნიშნული ფაქტორები შეგვიძლია ქვემოთ ცხრილში შევაჯამოთ. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მათი გააზრება შეუძლებელია. სიმარტივისთვის, 0-ს აქვს ნეგატიური დატვირთვა, 1-იანი კი პოზიტიურ პასუხს აღნიშნავს:

N	ფაქტორები	1960-1970-იანი წლები	1980-1990-იანი წლები
1	ემკ-ის იდეის თაობაზე ერთობა	0	1
2	საერთო ფრანგულ-გერმანული ინტერესი/პოზიცია	0	1
3	ემკ-ის 2 გეგმის რეალურობა	0	1
4	ემკ-ის წინააღმდეგ განწყობილი ლიდერების არარსებობა	0	1
5	სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა	1	1
6	გეოპოლიტიკური არასტაბილურობა	1	1
7	ევროკომისიის ძლიერი პრეზიდენტი	0	1

ცხრილიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1970-იან და 1990-იან წლებში არასტაბილური გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რამაც ინტეგრაციის გაღრმავებისთვის იმპულსები გააჩინა. თუმცა, ეს არ იყო საკმარისი და განმსაზღვრელი საბოლოო წარმატებისთვის. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი ცვლადების ანალიზი. კერძოდ, პირველი, 1970-იან წლებში არ არსებობდა ემკ-ის და ზოგადად „ევროპის“ იდეის თაობაზე ერთიანი წარმოდგენა და შედეგად, ვერნერის გეგმის წარმატებული იმპლემენტაციისთვის არ იყო საკმარისი მხარდაჭერა. 1990-იან წლების მდგომარეობა წინა პერიოდებისგან განსხვავდებოდა, რაც ამ ნაშრომში დეტალურად არის განხილული. მეორე, არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამო საფრანგეთი და გერმანია იძულებული იყვნენ საერთო ევროპული მონეტარული პროექტი განეხილათ. თუმცა, მონეტარული და ფისკალური რეგულირების შესახებ განსხვავებულმა იდეოლოგიებმა ვერნერის გეგმა არარეალური გახადა, მათი ინტერესები და პოზიციები კი სრულად დააშორა ერთმანეთს. 1990-იან წლებში ამ მხრივ საწინააღმდეგო პროცესის მოწმენი გავხდით. მესამე, ემკ-სთვის 1970-იანი წლების კონტექსტი კიდევ უფრო დამძიმდა ევროგაერთიანების სკეპტიკოსი ლიდერებისა და ევროკომისიის სუსტი პრეზიდენტის გამო. 1990-იან წლებში კი, კომპრომისის წინააღმდეგ განწყობილი ლიდერების არარსებობის გამო, საფრანგეთისა და გერმანიის უმაღლესმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა და ევროკომისიის ენთუზიასტმა პრეზიდენტმა დელორის გეგმას იმპლემენტაციისკენ ენერგიულად და წარმატებულად უბიძგეს.

თეორიული გააზრება

ჰეგემონიური სტაბილურობის თეორეტიკოსების მტკიცებით, „ვინაიდან გლობალურ დონეზე ჰეგემონიური ძალა [აშშ] მონეტარულ სტაბილურობას ვეღარ უზრუნველყოფდა, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მისი განხორციელება რეგიონულ საწყისებზე გადაწყვიტეს“ (Sadeh & Verdun, 2009, გვ. 279). სწორედ, ამგვარად შეიძლება აიხსნას ფრანგ გადანყვევტილების მიმღებთა პოზიციები 1960-იანი წლების ბოლოდან ევროპული მონეტარული ინტეგრაციასთან დაკავშირებით (Howarth, 2001). მსგავს ლოგიკაზე შეიძლება ვისაუბროთ 1990-იან წლებში ემკ-სადმი გერმანიის მტკიცე მხარდაჭერის (Story & Cecco, 1993), 1978-1981 წლებში ევროპული მონეტარული სისტემის დაფუძნების ფაქტორების

(Ludlow, 1982; Story, 1988), ბაზელ-ნაიბორგის შეთანხმებამდე განვითარებული 1985-1987 წლების მოვლენების, ემკ-ს თაობაზე 1990-1992 წლების მოლაპარაკებების და სხვათა შემთხვევებშიც.

გლობალურ დონეზე ემკ-ის ახსნა შესაძლებელია მოსაზრებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ევროპაში ძალთა გლობალური ბალანსი შეცვალა და გერმანია უფრო ძლიერი მოთამაშე გახადა. ამის ფონზე კი, „ემკ-ის ჩამოყალიბდა როგორც საშუალება იმისა, რომ ახლად გაერთიანებული გერმანია უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინათ დასავლურ ერებთან... მისთვის ზურგის ქცევისგან გამონვეული მაღალი ხარჯები უზრუნველყოფდა თანამშრომლობას მაშინაც კი, თუ შეიცვლებოდა ეროვნული ინტერესები... [სამაგიეროდ,] თავისი გაერთიანებისთვის საერთაშორისო ლეგიტიმაციის მოპოვების სანაცვლოდ და [აღმოსავლეთით] გაფართოებისთვის მაშინდელი ევროგაერთიანების მომზადების მიზნით, გერმანია დათანხმდა ემკ-ის“ (Sadeh & Verdun, 2009, გვ. 280).

ამასთან, როგორც ბევრი სახელმწიფო-ცენტრისტი მკვლევარი ამტკიცებს, გერმანიის მხრიდან კიდევ ერთი მოტივატორი იყო ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან გაზიარებით გერმანიას შეეძლო გაერთიანებისგან გამონვეული დანახარჯების შემცირება (Garrett, 1993; Sandholtz, 1993). თუმცა, სხვა მეცნიერები აკრიტიკებენ რეალიზმის სკოლის არგუმენტებს და აცხადებენ, რომ „ემკ იყო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მონეტარულ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რომელსაც, თავის მხრივ, დიდი ხანია ეროვნული მთავრობები ვეღარ აკონტროლებდნენ“ (Sadeh & Verdun, 2009, გვ. 280).

კონსტრუქტივისტები დარწმუნებულები არიან, რომ „1970-იანი წლების ნავთობის შოკმა მნიშვნელოვნად შეარყია მაკროეკონომიკური საკითხების შესახებ ცოდნის სტრუქტურა და აიძულა გადაწყვეტილების მიმღებები, რომ მოეძიათ ახალი ცოდნა იმაზე, თუ როგორ უნდა მოეხდინათ მათი დისკურსისა და ქმედებების სტრუქტურირება, ინფორმირება და ლეგიტიმაცია. ამან საშუალება მისცა ტრანსნაციონალურ ექსპერტებსა და ეპისტემურ საზოგადოებებს, მათ შორის, ცენტრალურ ბანკებს, რომ გავლენა მოეხდინათ პოლიტიკის შემქმნელებზე და 1970-იანი წლებიდან მოყოლებული გავერცხლებინათ 'მყარი ფულის' იდეები“ (Sadeh & Verdun, 2009, p. 281; Marcussen, 2000).

ნეოფუნქციონალიზმის თეორეტიკოსები მონეტარული ინტეგრაციისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ „გადაღვრას“. ისინი თვლიან, რომ „ვინაიდან კაპიტალის სრული მობილობა, ეროვნული მონეტარული ავტონომია და გაცვლითი კურსის სტაბილურობა ერთმანეთთან შეუთავსებელი სამეულია, ერთიანი ბაზრის გამო კაპიტალის ნაკადების ლიბერალიზაცია ნიშნავდა იმას, რომ გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევა მხოლოდ ეროვნული ავტონომიის ხარჯზე იყო შესაძლებელი. შესაბამისად, სავალუტო კავშირი საერთო ბაზრის პროექტის ბუნებრივი გაგრძელება იყო“ (Sadeh & Verdun, 2009, გვ. 283; Padoa-Schioppa, 2000).

სხვა ამხსნელი არგუმენტები ასევე წარმოადგინეს: ინსტიტუციონალისტებმა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მონეტარული ინტეგრაციის კურსის ისტორიულ დეტერმინაციაზე (Pierson, 1996; Verdun, 2007); ტრანსნაციონალისტებმა, რომლებიც ხაზს უსვამენ ტრანსნაციონალური აქტორების, ეპისტემური საზოგადოებებისა და კოლექტიური იდენტობების როლებს; და ევროპეიზაციის მკვლევარებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „ევროზონა არის არა მხოლოდ იმ ინსტიტუტების წყება, რომლებითაც პოლიტიკური აქტორები მანიპულირებენ, არამედ ასევე სივრცე, სადაც მონაწილეებისა და მათი სტრატეგიების მშენებლობა მიმდინარეობს“ (Sadeh & Verdun, 2009, გვ. 285; Quaglia, 2006).

დასკვნა

„დადგება დრო, როდესაც შენ, საფრანგეთო, შენ, რუსეთო, შენ, იტალიავ, შენ, ინგლისო, შენ, გერმანიავე, თქვენ, კონტინენტის ყველა ერო, თქვენი გამორჩეული თვისებებისა და დიდებული ინდივიდუალურობის დაკარგვის გარეშე, შეერევით აღმატებულ ერთობაში და ჩამოაყალიბებთ ევროპულ ძმობას, ზუსტად ისევე, როგორც ნორმანდია, ბრეტონია, ლოტარინგია, ელზასი და ყველა ჩვენი პროვინცია შეირია ერთიან საფრანგეთში“ (Hugo, 1849, გვ. 300-301)

ამრიგად, უკვე შეგვიძლია გავცეთ პასუხი საკვლევ კითხვას, თუ რატომ ჩავარდა ემკ 1970-იან წლებში და რატომ იყო იგი წარმატებული 1990-იან წლებში. ნათელია, რომ გეოპოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ორივე ათწლეულში ემკ-ის დაფუძნების ერთგვარი სტიმული გააჩინა. თუმცა, 1990-იანებში მისი წარმატებულ იმპლემენტაციად გარდაქმნა შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობდა საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ერთობა ევროპის იდეის თაობაზე, ასევე, დელორის გეგმა იყო უფრო რეალური, ევროკომისიას ჰყავდა ძლიერი პრეზიდენტი, საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციები და ინტერესები ერთმანეთის თანხვედრაში იყო და პოლიტიკურ სარბიელზე არ იყვნენ 'ექსტრემისტი' ევროპელი ლიდერები.

როგორც ჩანს, 1990-იან წლებში ემკ-ის წარმატების რამდენიმე მიზეზი იყო, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დრო, ისევე, როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული ისტორიული პერიოდების უმრავლესობა, როდესაც 'ევროპის მშენებლობის' საქმეში მნიშვნელოვანი იყო ევროპის იდეა.

ბიბლიოგრაფია:

- Ansiaux, B. H. & Dessaert, M. (1975). *Dossier pour l'histoire de l'Europe monétaire 1958-1973*. Leuven: Vander.
- Brugmans, H. (1970). *L'idée européenne 1920-1970*. Bruges: De Tempel, 3rd Edition.
- Burgess, J. P. & Stråth, B. (2001). Money and Political Economy: From the Werner Plan to the Delors Report and Beyond. In: Stråth, B. & Magnusson, L. (eds.). *From the Werner Plan to the EMU: in Search of a Political Economy for Europe*. Bruxelles: Peter Land, pp. 125-161.
- Cameron, D. R. (1995). 'Transnational Relations and the Development of European Economic and Monetary Union'. In: Risse-Kappen, T. (ed.). *Bringing Transnational Relations Back In – Non-State Actors, Domestic Structures and International Institutions*. Cambridge: Cambridge University Press.
- Chabod, F. (1947). *L'Idée di Europa*. La Rassegna d'Italia. II, 4: pp. 3-17 & 5: pp.25-37.
- Curcio, C. (1958). *Europa, storia di un'idea*. Florence: Valecchi Editore.
- Danescu, E. R. (2013). The Werner Report and the Delors Report. In CVCE (2013). *A rereading of the Werner Report of 8 October 1970 in the light of the Pierre Werner family archives*. Sanem: Centre Virtuel de la Connaissance sur l'Europe (CVCE).
- D'apollonia, A. C. (2002). European Nationalism and European Union. In Pagden, A. (2002, ed.). *The Idea of Europe: From Antiquity to the European Union*. Washington: Woodrow Wilson Center Press, pp. 171-190.
- Dedman, M. J. (2010). *The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration*. 2nd Edition. New York: Routledge.
- Delors, J. (2004). *Mémoires*. Paris: Éditions Plon.
- Delors, J. (1999). In *Pierre Werner – testimonies at the threshold of the 21st century*. Documentary film of European Commission.
- Dinan, D. (2004). *Europe Recast: A History of European Union*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- Dorpalen, A. (1948). The European Polity: Biography of an Idea. *The Journal of Politics*, 10 (4), pp. 712-733.

- Durkheim, E. (1974, originally written in 1898). Individual and Collective Representations. In *Sociology and Philosophy*. New York: The Free Press, pp. 1-34.
- Duroselle, J. B. (1990). *Europe – A History of Its Peoples*. London: Viking.
- Duroselle, J. B. (1965). *L’Idée d’Europe dans l’histoire*. Paris: Denoël.
- Garrett, G. (1993). The Politics of Maastricht. *Economics and Politics*, 5 (2), pp. 105-123.
- Gollwitzer, H. (1951). *Europabild und Europagedanke. Beiträge zur deutschen Geistesgeschichte des 18. Und 19. Jahrhunderts*. Munich: Beck’sche Verlagsbuchhandlung.
- Hay, D. (1957). *Europe: The Emergence of an Idea*. Edinburgh: Edinburgh University Press.
- Howarth, D. (2001). *The French Road to European Monetary Union*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- Hugo, V. (1849). *Oeuvres complètes: Politique*. In Fizaine, J.-C. (1985, ed.). Paris: Éditions Robert Laffont.
- Kaiser, W. (2007). *Christian Democracy and the Origins of European Union*. Cambridge: Cambridge University Press.
- Lipgens, W. (1985-1986, ed.). *Europe: Documents on the History of European Integration*. 2 vols. Berlin: Walter de Gruyter.
- Lipgens, W. (1982). *A History of European Integration. Volume I. 1945-1947*. Oxford: Clarendon Press.
- Ludlow, P. (1982). *The Making of the European Monetary System – A Case Study of the Politics of the European Community*. London: Butterworth Scientific.
- Marcussen, M. (2000). *Ideas and Elites: The Social Construction of Economic and Monetary Union*. Vilborg: Aalborg University Press.
- McNamara, K. (1999). *The Currency of Ideas: Monetary Politics in the European Union*. Ithaca: Cornell University Press.
- Padoa-Schioppa, T. (2000). *The Road to Monetary Union in Europe: The Emperor, the Kings, and the Genies*. 2nd Edition. Oxford: Oxford University Press.
- Pagden, A. (2002, ed.). *The Idea of Europe: From Antiquity to the European Union*. Washington: Woodrow Wilson Center Press.
- Pierson, P. (1996). The Path to European Integration: A Historical Institutional Analysis. *Comparative Political Studies*, 29 (2), pp. 123-163.
- Posner, E. (2007). ‘Financial Transformation in the European Union’. In: Meunier, S. & Macnamara, K. R. (eds.). *Making History: European Integration and institutional Change at Fifty*, Volume 8 of *The State of the European Union*, pp. 139-155.
- Rehman, S. S. (1997). *The Path to European Economic and Monetary Union*. New York: Kluwer Academic Publishers.
- Risse, T., Engelmann-Martin, D., Knopf, H.-J. & Roscher, K. (1999). To Euro or Not to Euro? The EMU and Identity Politics in the European Union. *European Journal of International Relations*, 5 (2), pp. 147-187.
- Rougemont, D. (1961, re-edition in 1990). *Vingt-huit siècles d’Europe. La conscience européenne à travers les textes – d’Hésiode à nos jours. Prêface de Jacques Delors*. Paris: Christian de Bartillat.
- Sadeh, T. & Verdun, A. (2009). Explaining Europe’s Monetary Union: A Survey of the Literature. *International Studies Review*, 11, pp. 277-301.
- Sandholtz, W. (1993). ‘Monetary Bargains: The Treaty on EMU’. In: Cafruny, A. W. & Rosenthal, G. G. (eds.). *The State of the European Community – The Maastricht Debates and Beyond*. Boulder: Lynne Rienner.
- Seton-Watson, H. (1985). What is Europe, Where is Europe? From Mystique to Politique. *Encounter*, LXV (2), pp. 41-44.
- Siles-Brügge, G. (2014). *Constructing European Union Trade Policy: A Global Idea of Europe*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- Story, J. (1988). The Launching of the EMS: An Analysis of Change in Foreign Economic Policy. *Political Studies*, 36 (3), pp. 397-412.
- Story, J. & Cecco, M. (1993). ‘The Politics and Diplomacy of Monetary Union: 1985-1991’. In: Story, J. (ed.). *The New Europe: Politics, Government and Economy since 1945*. Oxford: Blackwell.
- Swedberg, R. (1994). The idea of ‘Europe’ and the Origin of the European Union – A Sociological Approach. *Zeitschrift für Soziologie*, 23 (5), pp. 378-387.

- Szász, A. (1999). *The Road to European Monetary Union*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- Thompson, M. P. (1994). Ideas of Europe during the French Revolution and Napoleonic Wars. *Journal of the History of Ideas*, 55 (1), pp. 37-58.
- Verdun, A. (2007). 'A Historical Institutionalist Analysis of the Road to Economic and Monetary Union: A Journey with Many Crossroads'. In: Meunier, S. & Macnamara, K. R. (eds.). *Making History: European Integration and institutional Change at Fifty*, Volume 8 of *The State of the European Union*, pp. 195-212.
- Verdun, A. (2000). *European Responses to Globalization and Financial Market Integration. Perceptions of Economic and Monetary Union in Britain, France and Germany*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- Verdun, A. (1999). The Role of the Delors Committee in the Creation of EMU: An Epistemic Community? *Journal of European Public Policy*, 6 (2), pp. 308-328.
- Werner, P. (1990). Der Werner-Bericht und der Delors-Bericht zur Europäischen Wirtschafts- und Währungsunion im Vergleich. In Franz, O. (1990). *Die Europäische Zentralbank*. Bonn: Europa Union Verlag.